

**როგორ მივიღო ინფორმაცია COVID-19 ვაქცინაციის შესახებ?**

- **15 22** - ვაქცინაციის ცხელ ხაზი
- **116001** - NCDC-ს ცხელი ხაზი
- **1505** - ჯანდაცვის სამინისტროს ცხელი ხაზი
- ან ვებ-გვერდებზე: *stopcov.ge, moh.gov.ge, ncdc.ge, provax.ge*

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

HRU
ჯანმრთელობის კვლევის კავშირი



# COVID-19-ის

## გართულებებისგან თავის დაცვის საუკეთესო საშუალება

# ვაქცინაციაა

# რა არის **COVID-19** და როგორ ხდება მისი გადაცემა?



COVID-19 არის დაავადება, რომლის პირველი შემთხვევაც 2019 წლის დეკემბერში დაფიქსირდა და რომელსაც იწვევს კორონავირუსის ერთ-ერთი ტიპი SARS-COV-2. მისი გადაცემა ძირითადად ხდება ინფიცირებულ ადამიანთან მჭიდრო კონტაქტისას, წვეთების გზით. ვირუსი შეიძლება გამოიყოს დაავადებული ადამიანის დაპარაკის, ხველის და ცემინების დროს.

## რომელია COVID-19 დამახასიათებელი სიმპტომები?

**COVID-19 ზოგადი სიმპტომებია:**

- ხველა;
- ტემპერატურის მატება;
- ყელის ტკივილი;
- თავისა და კუნთების ტკივილი;
- ზოგადი სისუსტე;
- დიარეა (ფაღარათი);
- ყნოსვის ან გემოს შეგრძნების სრული ან ნაწილობრივი დაკარგვა (თუმცა ეს სიმპტომი ახალი შტამებისთვის ნაკლებად არის დამახასიათებელი).

## როგორ ავირიდოთ თავიდან COVID-19?

ვაქცინაცია COVID-19 პრევენციის ყველაზე საიმედო საშუალებაა. ვაქცინასთან ერთად მოწოდებულია სხვადასხვა ღონისძიება, რომლებიც საგრძნობლად ამცირებენ ინფიცირების რისკს. ესენია:

- პირბადის ტარება დახურულ სივრცეში;
- ხელების ხშირი დაბანა და დამუშავება სადეზინფექციო საშუალებებით;
- ზედაპირების დამუშავება სადეზინფექციო საშუალებებით;
- ხალხმრავალ ადგილებში ყოფნისგან თავის არიდება, ან 2 მეტრიანი დისტანციის დაცვა და სხვ.

## როგორ ხდება COVID-19 დიაგნოსტირება?

COVID-19 დიაგნოსტირებისთვის მოწოდებულია ანტიგენის სწრაფი და PCR ტესტი, რომლითაც ხდება SARS-COV-2 ვირუსის იდენტიფიცირება ცხვირ-ხახის ნაცხში. გადატანილი, ან ვაქცინის შემდგომი იმუნიტეტის დადგენის მიზნით მოწოდებულია ანტისხეულების კვლევის სხვადასხვა ტიპი.

## როგორია COVID-19 სტატისტიკა მსოფლიოსა და საქართველოში?

მსოფლიოში COVID-19 შემთხვევათა რიცხვმა 500 მილიონს, ხოლო საქართველოში 1.6 მილიონს გადააჭარბა.